ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1619734

ნომერი: AR1267933

თარიღი : 24.11.2014

გაცემის თარიღი : 01.12.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოცაძე პ/ნ 01025017498
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 35 ბ. 57

ორგანიზაცია:

- ოლდ გრუპ კოდი: 405003213

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1267933 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.896) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).

მოცემული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.896) ყვება დიდი დიღმის “ჩარჩო გეგმის” განვითარების არეალში (რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს). “ჩარჩო გეგმის” შესაბამისად მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს სამსახურის მიერ დადგენილი (ეზოს მხრიდან 3 მეტრიანი და ქუჩის მხრიდან 10 მეტრიანი) განაშენიანების რეგულირების ხაზების დაცვით.

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.896) წარმოქმნილია საკადასტრო ერთეულის (საკადასტორ კოდი: #01.72.14.038.482) არასწორი გამიჯვნის შედეგად. აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების ხაზების გათვალისწინებით, რაც იმას გულისხმობს, რომ საპროექტო შენობა/შენობების უნდა განთავსდეს ხსენებულ ხაზზე, რაც ამ შემთხვევაში ვერ იქნება დაცული. ამას გარდა, მიწის ნაკვეთების მსგავსი დანაწევრება და სამშენებელოდ გამოყენება ეწინაღმდეგება სამსახურის მიერ შემუშავებულ და ქალაქის სპეციალური (ზონალური) კომისიის მიერ შეთანხმებულ, „დიდი დიღმის ტერიტორიების პერსპექტიული განვითრების ჩარჩო გეგმით“ განსაზღვრულ განაშენიანების გეგმარებას, სივრცით-მოცულობით და ესთეტიკურ პარამეტრებს და არ ითვალისწინებს ტერიტორიების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური, მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.